კვირა, 28 მარტი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 კვირა, 28 მარტი 1904 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ.	— კ.
11	,,	9 ,,	50 ,,
10	,,	8 ,,	75 ,,
9	,,	8 ,,	— ,,
8	,,	7 ,,	25 ,,
7	,,	6 ,,	50 ,,
6	,,	6 ,,	— ,,
5	,,	5 ,,	50 ,,
4	,,	4 ,,	75 ,,
3	,,	3 ,,	50 ,,
2	,,	2 ,,	75 ,,
1	,,	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 77 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 77

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ქრისტე აღსდგა!

დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 1 აპრილს.

რედაქციისაგან.

პირველ აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზ. „**ივერია**“ ჰღირს 8 **მან.** ბიბლიოთეკა სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის—4 **მან.**

გამოვიდა დ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალაჭი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათ ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.

კახეთის მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“

აცხადებს, რომ ამ თვის 15-დგან ღვინო ისყიდება

ბოთლი—20, 25 და 30 კაპ. და მეტად

უმთავრესი საწყობი და მაღაზია: ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა; განყოფილება: მიხეილის პრ., სლივიცკის, სახლში, № 81. ღვინო ისყიდება აგრეთვე ყველა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

ქ. ქუთაისში გაიხსნა საზოგადოების განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის «**კოლხიდის**» საწყობში ხსენებულ ამხანაგობის ხელმძღვანელობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება «**კახეთის**» ფირმის იარლიკებს, რადგანაც თვალის ასახვევად ძლიერ არის გავრცელებული სხვა-და-სხვა მიმსგავსებული იარლიკები. (10—6.—4).

ჩვენ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ჩვენს ხელის-მომწერთ შეუძლიანთ დაიბარონ რედაქციისაგან

„საქართველოს კალენდარი“

ვალ. გუნიასი, გამოცემული წ.-კ. საზოგადოების მიერ, დაკლებულ ფასად: ტფილისს გარეშე გაგზავნით 1 მან. 30 კაპ. მაგიერ 70 კაპ., ხოლო თვით რედაქციაში — მანათის ნაცვლად—50 კაპიკად.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

იჯარით აქვიდამ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის მამოლცელიძე.**

ქართული თეატრი

სამშაბათს, 30 მარტს 1904 წ.,

ქართველ მსახიობთა ამხანაგ. მიერ წარმოდგენილი იქნება,

პირველად ახალი პიესა

I

დარისპანის გასაჭირი

სცენა 1 მოქ. დ. კლდიაშვილისა.

II

აირია მონასტერი

კომედია 3 მოქ. გად. თ. სახოკიასა და გუნიას მიერ.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, მ. მდივანი, ნ. რონელი, ჯავახიშვილი, როსტომაშვილი, ნებიერიძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ.

ამხ. გამგე ვალ. გუნია.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის სა-კრებულოს“

საზაფხულო ბაღში

მიხეილის პროსპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა

სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა დ ცოცხალი სურათები. დასასრულ

ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). (20—3)

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაწაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა!... მოხიბლული ამ ბრწყინვალე დღესასწაულითა, ზეაღტაცებული ამ მძლეთა-მძლე სიტყვებითა, სრულიად გამსჭვალული ამ დღის დიადის მნიშვნელობითა, ვდგევარ გარინდებული დ არ ვიცი, თუ ვის მივმართო ამ დიდებულის სიტყვებით, ვისთვის გავიმეტო ეს სწორ-უპოვარი თვალ-მარგალიტი ჩვენის სულიერის საუნჯისა, ეს ფას-დაუდებელი წინდი ჩვენის განახლებისა... ვის მივულოცო, ვის ვუმახარობლო ქრისტეს აღდგომა, სიკვდილის დათრგუნვა, უღელის გატკბობა, ტვირთის აღმსუბუქება და ცხოვრების მინიჭება!.. ვიცქირები წინ და სულ მწიგნობარნი და ფარისეველნი ირევიან, «რომელთა შეჰკრიან ტვირთი მძიმე და ძნიად სატვირთავი და დასდვიან მხართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითაცა მათითა არა უნებენ შეძვრად იგი».

ვიხედები უკან და აქაც მწიგნობარნი და ფარისეველნი ფუსფუსობენ, რომელნიც «ყოველსა საქმესა მათსა იქმან საჩვენებელად კაცთა, განივრციან სცოხნი მათნი და განიდიდნიან ფესვნი სამოსელთა მათთანი; უყვართ ზე ჯდომა სერსა ზედა და პირველ დაჯდომა შესაკრებელთა შორის».

ვიყურები მარჯვნივ კიდევ მწიგნობარნი და ფარისეველნი, «რომელნი შესჭამენ სახლებსა ქვრივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცავენ, რომელთა დახშეს სასუფეველი ცათა წინაშე კაცთა, თვით შეარავლენ და შემავალთა უტევებენ არა შესვლად, რომელნი დასწურვენ ბურნაკსა და აქლემსა შთანთქმენ»...

ვმზერ მარცხნივ... და ისევ მწიგნობარნი და ფარისეველნი, «მიმსგავსებულნი საფლავთა განგოზილთა, რომელნი სჩანედ გარეშე შვენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიედ ძვალებითა მკვდართათა და ყოვლითა არა წმიდებითა»..

მერე მწიგნობართა და ფარისეველთა ხომ ვერ ვეტყვი „ქრისტე აღსდგა“-მეთქი! ეს ხომ გმობა იქნება ქრისტესი, უარყოფა იქნება ქრისტეს აღდგომისა, დაცინვა იქნება ქრისტეს აღდგომისა, დაცინვა იქნება ქრისტეს მოძღვრებისა და სახარებისა!

მაშ დავიდუმო, გავჩუმდე, არავის მივმართო, არავინ ვანუგეშო ამ სასალბუნო, ამ სენეტარო სიტყვებით? ვინ გაიგებს და ვინ დაიტევს იმას სავსებით? ვინა და ისინი, ვისთვისაც აღსდგა ქრისტე.

«გლახაკთათვის გლახაკთასა და სულთქმისათვის დავრდომილთასა, აწ აღვსდგე,—იტყვის უფალი,—დავსდვა ცხოვრება და განვსცხადნე მას ზედა».

გლახაკნო და დავრდომილნო! თქვენთვის განხორციელდა ქრისტე, თქვენთვის იმოძღვრა, თქვენთვის დასდვა ცხოვრება ვნებითა და ჯვარცმით და, დასასრულ, თქვენთვის აღსდგა მკვდრეთით! ამიტომ მეც თქვენთანა ვარ და მხოლოდ თქვენ გეტყვი (სხვისთვის არ შემიძლია გავიმეტო):

„ქრისტე აღსდგა!“

მენახოთ თქვენც აღმდგარი გლახაკობისა და დავრდომლობისაგან, რომ თამამად გეთქვათ: «ჭეშმარიტად»!.

ა ღ დ გ ო მ ა.!

აღდგომაა, აღდგომაა!
ბოროტების დავგმოთ კარი,
კეთილის თქმა გვქონდეს ფიქრად,—
ამას ბრძანებს მაცხოვარი.
აღდგომაა! მტრობას, შურსა
დავუმიზნოთ მშვილდ-ისარი,
სათნოება დავინერგოთ,—
ამას ბრძანებს მაცხოვარი.
აღდგომაა! კაცის ჩაგვრას
ექმნეს ბოლო, ექმნეს მზღვარი;
ძმამა ძმაი შეიყვაროს,—
ამას ბრძანებს მაცხოვარი.
აღდგომაა, აღდგომაა!
ბოროტების დავჰგმოთ კარი,
კეთილის ქმნა გვქონდეს ფიქრად,—
ამას ბრძანებს მაცხოვარი.

სიმონ ჯორბენაძე.

ი უ დ ა.

(საადგომო)

«წმინდათ-წმინდანნო, მავნე სულნი ხართ,
თუ სისხლ-საღვრელად აღმართეთ ცელი,
სიკვდილის ღირსი შორს მიმატოვეთ
და თქვენს მეუფეს შეახეთ ხელი.
აგერ, საცაა ცას, არე-მარეს
სამგლოვიარო ძაძა შემოსავს
და ბრბო უგნური, ბასრის ბრჭყალებით,
მომაკვდინებელს მახვილს გალესავს.
ვინც გადალეწა მათი კერპები,
მას დატვირთავენ წამების ჯვარით...
მოჰკლავენ იესოს, მოჰკვლენ ქრისტესა,
მოჰკლავენ უფალს სიცილ-ხარხარით.
უნდა აწამონ მართალი კაცი
და რაღა ელის ჩემსა ცხოვრებას?...
ჰოი, სუსტო ჰკვავ, ტალახშია გფლავ,
გულო, შხამს ვსტყორცნი სიამოვნებას.
ვისთვისაც გავეც ნაზარეველი,
თვით ისინიცმ-კი მესვრიან ლოდებს...
ვით მოვუპოვო სულსა მშვიდობა,
ვინ შემიბრალებს, ვინ შემიცოდებს?!..
ნეტავ შემეძლოს, რომ დღის ნათელი
გველეშაპისა ფრთებით დავრჩდილო;
ჯოჯოხეთისა უფსკრულიდანა,
ამოგიწოდო, შავო სიკვდილო!..
მაგრამ ამაოდ... ამაოდ ვკვნესი,
ვერ გავინელებ, გულს რომ მწვავს ცეცხლი...
ფულმა დამღუპა... წყეულიმც იყოს
ვინც შეიყვაროს ჩემს შემდეგ ვერცხლი!..»

—

თავი დაიღრჩო სკარიოტელმა,
სიკვდილში ჰპოვა სიამოვნება...
ოჰ, იუდები რომ არ ჩნდებოდნენ,
აყვავდებოდა ჩვენი ცხოვრება!

ბ. ახოსპირელი.

ს ა ა ღ დ გ ო მ ო.

ლექსი ლ. ყიფიანისა.

ციური ნამი განახლებისა
ეპკურა არეს, დაუფრთხო ძილი
და ცას ახარა, რომ აღსდგა მკვდრეთით
ის, ვინც სიკვდილით სთრგუნა სიკვდილი..

—

დღესასწაულობს მთელი სამყარო,
გაისმის ჰიმნი სიყვარულისა:
«აღსდგა იესო და დადგა წამი,
წამი საერთო სიხარულისა».

—

ჩვენც გვიხარიან... მხოლოდ გული სდუმს..
სული ცხოველი სადღაც გამქრალა..
ვიძახით სიტყვებს, მაგრამ არ შეგვწევს
მათ საგრძნობელად სამყოფი ძალა...

—

ვიძარხით, ვამბობთ: «აღსდგაო ქრისტე»!
სახე გვილიმის ციურის სხივით...
სულს-კი წყვდიადი გადაჰფენია,
ძლეულა სევდით, ბნელით და ყინვით.

—

გაუთელია ცხოვრებას მტრულად
ნატვრა, იმედი, ძალა გულისა.
ოცნების ნაცვლად, გულს ლოდათ გვაწევს
გრძნობა მუდმივის სინანულისა!

—

ძალაც არ შეგვწევს ამ სილატაკეს
სულისას დავდოთ რამე წამალი...
და ქრისტეს ვნებით გამოვაცოცხლოთ
სული, სიკვდილით ძლეულ-გამქრალი.

—

არ გვაქვს წყურვილი სათნო გრძნობისა...
სხვის გაჭირვება არ გვწამს, არ გვჯერა.
ვერა, ვერ აღვძართ მათდა საშველად
ჩვენ გაყინულის გულისა ძგერა.

—

არ გვწამს აღდგომა სულის გამქრალის...
ლაჩრულად ვიხრით ბრძოლის წინ თავსა.
არას დავეძებთ, რა მოაქვს ჩვენთვის
ბედის უკუღმართ ჩარხის ტრიალსა.

—

გაზაფხულდება... რაღაცა ძალა
გაგვიტყცილებს ერთს წუთას ცაში..
უცხო იმედებს წაგვიჩურჩულებს,
ნექტარს შეურევს ტანჯვა-კვნესაში

—

და ჰქრება... და კვლავ სიცივე გვიპყრობს,
კვლავ ქრისტეს მცნება განდევნილია..
და ისე მწარედ მიდის სიცოცხლე,
თითქოს ბურანში კვნესა-ძილია.

გარიყული.

ტ ფ ი ლ ი ს ი

*** შორეულ აღმოსავლეთიდან მოვიდა შემდეგი დეპეშა: «იალუს ნაპირებიდან მოგილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს. გულითადი სალამი პოლკებს, მეგობრებს, ნაცნობებს. კაპიტანი და ჯანსაღადა ვართ: გენერალი კაშტალინსკი, მესხიშვილი, დადიანი, ბაქრაძე, მაჭუტაძე, სმირნოვი».

*** იქიდანვე მოვიდა ასეთივე დეპეშა. ქვეშ ხელს აწერენ, სხვათა შორის: კონსტაშვილი, ზედგინიძე და მიქაბერიძე.

*** 30 მარტს ქართულ თეატრში ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ იქნება «დარისპანის გასაჭირი», ახალი პიესა დ. კლდიაშვილისა, და «აირია მონასტერი», კომედია—ფარსი 3 მოქმ., გადმოკეთებული სახოკიასა და ვ. გუნიას მიერ.

*** დიდი ჩხუბი მოხდა 26 მარტს, დილით, 1-ლ სახელოსნო ნაწილში, არკადიის ქუჩაზედ. პოლიციელ კუზმინს, რომელიც თავის ბარგს ეკიდებოდა, ხხუბი მოუვიდა [illegible] თარეთან. [illegible] სხვებიც მეზობლები და შეიქნა ნამდვილი ხელ-ჩართული. ზოგს თავი გაუტეხეს და ერთი [illegible] მძიმედ დაშავდა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

«ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐᲡᲐᲪ-ᲙᲘ»

(ესკიზი)

— ქალბატონო, ახლა დაზელა-და უნდა... გავათავე, ცომი მზად არის,—შემოვიდა თუ არა ოთახში, მოახსენა ქალბატონს ჩასუქებულმა მოხამსახურემ—შუა ხანს მიტანებულმა დედაკაცმა.

— მაშ, დაუძახე ფიდოს, რიგიანად დაზილოს, როგორც შეეფერება პასკის ცომს... გასცა ბრძანება ქალბატონმა, რომელიც გადასვენებულიყო მისთვის საგანგებოდ გაგეობულს ძველებურს სავარძელში. ეს სავარძელი მრგვალ, გასაშლელ მაგიდასთან იდგა მუდამ.

მოხამსახურემ წასვლა დააპირა, მაგრამ სალომემ შეაყენა და ბრაზ-მორეულმა ჰკითხა:

— მართლა, ბევრნი აცხობენ წლეულ პასკას?

— დიახ, ქალბატონო... ძალიან ბევრნი...

მერე დაიწყო ჩამოთვლა, ვინც აცხობდა პასკას იმ სამაზრო ქალაქში, სადაც «გენერალშა» სალომე დიდ ბობოლად ითვლებოდა.

— აქამდის ჩემს მეტი არავინ აცხობდა ხოლმე და...

— ჰო და, თუ ეხლა აცხობენ, თქვენი მადლობლები უნდა იყვნენ, თქვენგან ისწავლეს...—სიტყვა წაართვა მოხამსახურემ, ეგონა, ასიამოვნებდა, მაგრამ ანგარიში წაუხდა.

—თვალი იმათაც გამოჰხვეთქიათ... იმათ სასწავლებლად კი არ ვაცხობდი, ჩემთვის, ჩემის სახლისთვის მინდოდა...— და ავის თვალით აგრძნობინა, რომ გულკეთილობას მაგრე რიგათ დაჩვეული არ არის: შენც ხმა ჩაიკმინდე, როცა არა გკითხავდნენო... ეხლა კი, ვინც არა მგონია, ყველა აცხობს... დიდი, პატარა, მდიდარი თუ ღარიბი... რა მოქარვაა, რა წინდაუხედაობაა!.. ჯერ თავზედ დაიხედონ, ვინა ერიან და მერე ისე გამოაცხონ...—ჯავრობდა ქალბატონი სალომე იმ გაუკონარ და თავხედ ხალხზედ, რომელთაც გაბედეს პასკის შინ გამოცხობა.—მე რომ ვაცხობ, ან კიდევ სხვა ხარჯს ვეწევი, მეკუთვნის, მშვენის, რადგანაც ნამდვილი «გენერალშა» ვარო (ასე ეძახდა თავის თავს)...ისინი კი... კოდო-ბუზები, ქინქლები... სხვა არაფერი!..

— აკი კარგები ვერცერთს ვერ მოჰხვდა, ქალბატონო... თითქმის ყველას წახდენიათ... გულის გასაკეთებლად მოახსენა განაწყენებულს ქალბატონს დაოხნებულმა მოახლემ.

— ახია იმათზედ, იმ მაიმუნებზედ... რასაც დაინახამენ, უთუოდ უნდა მიჰბაძონ...

— გიახლები, ცომს მივხედამ ..

— ჰო, შენ წადი, მაგდა; ფიდოს უთხარ, გიშველოს... მეც ეხლავე მოვალ თვალყურის ასაჭერად, თორემ ვაი თუ ჩვენებიც წახდეს...

დამკლავებული მაგდა წავიდა, თან კი ფიქრობდა: შენ თუ თავზედ არ დამადექი, აგერ ხუთი წელიწადია, კარგებს ვერ ვაცხობო.

მაგრამ მაგდას ქალბატონი სულ სხვა აზრისა იყო. იმას ეგონა, რომ ყველა საქმეს ის აკეთებს, ის უვლის მთელს სახლს და, თუ თვალი მოარიდა, წუთით მაინც, არცერთი საქმე არ გაუკეთდება, თუმცა მოხამსახურე ქალი თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა.

წამოიწია სავარძლიდან ასადგომათ, მაგრამ ვაი იმ დღეს! დაიწყო ვახვახი და უი-უის ძახილი. ხან მუხლზედ იტაცა ხელი და ხან მკლავზედ. თან იზელავდა შეღავათის მისაცემად, ძარღვების გასაშლელად. უნდა მოგახსენოთ, რომ ქალბატონის, დენერლის ცოლი (სამხედრო დენერლისა კი არა «შტატსკისა») იმდენათ ხნოვანებით არ იყო გატეხილი, რამდენადაც ავადმყოფობით და მრავალ გზის უსიამოვნობის ატანით. უსიამოვნობის მიზეზი-კი იმისი საყვარელი და ძვირფასი მეუღლე გახლდათ დენერალი გულბაათი. ავადმყოფობასაც ერთადერთი ჰქონდა, მეტი არა,—ეს იყო ქარები. ისე იყო დაქარული, ისე იყო გამსჭვალული ქარებით, რომ ფრჩხილები რა არის, ფრჩხილები?.. იქაც კი ქარები ჰქონდა გამდგარი. ხან ერთს მუხლზედ იტაცებდა ხელს და ხან მეორეზედ...

ეს იმაზედ იყო დამოკიდებული, თუ რომელს მხარეს დაუვლიდა ქარი და რა ძალღონით. ხელები ხომ სანახავად საზარელი იყო! მკლავები შიგ ნიდაყვში ჰქონდა მოხრილი, ვეღარა ჰშლიდა. ხელის მტევანი-კი გაშეშებული ეჭირა, გეგონებოდათ განგებ გაკეთებული რეზინის ხელი აბიაო.

ესეთი ადამიანი ყოველთვის ფრთხილია; ან არ გაცივდე, ან არ დამცხესო; ორპირს ქარს ერიდება სიკვდილივით, საღამოს სიოს გაურბის, თუ იატაკი დაფენილი არ არის, სავარძელში არ ჩაჯდება და სხვა ამგვარი უცნაურობა სჭირს. სალომესაც სჭირდა ეგ ზნე. საქმეს ხომ არაფერს აკეთებდა, სულ ყველაფერი მაგდას ხელში იყო; ის აკეთებდა, ის უვლიდა ოჯახს, მაგრამ ქალბატონი მაინც ხანდახან, ასე დღეში ორჯერ-სამჯერ, წასძახებდა ხოლმე: სახლსა და ადამიანს არას არგიხარ, ჯამაგირს ტყუილად იღებ და ისევ მე მიხდება ყველაფრის კეთებაო. თუმცა განმეორებით მოგახსენებთ და ირწმუნეთ ჩემი საბუთიანი სიტყვა, რომ ჩხირს არ გადააბრუნებდა მთელი დღე... ქარები ნებას არ აძლევდა!

ქარიანი ხომ იყო... არც ხელგაშლილი გახლდათ. ძუნწი იყო საშინელი. ოღონდ ფულის დახარჯვას ნუ გაუხსენებდით და სხვა რაც გინდა გეთქვათ, გინდ გაგელანძღათ, ხმასაც არ გაგცემდათ... მაგრამ, უკაცრავად, ტყუილი კაცს შეარცხვენს!.. ხმასაც გაგცემდათ და კარგებსაც მოგახსენებდათ... მერე რა ენა ჰქონდა, რა ქარაგმიანი ლოცვა-კურთხევა იცოდა?! ღმერთო, შენ აპატიე!.. როცა ის ილანძღებოდა და ჰქოქავდა ვისმე, მეზობლის ქალები ყურის საგდებლად მოდიოდნენ, აგები ვისწავლოთ და შემდეგში გამოვიყენოთო. ამგვარი შემთხვევები-კი ხშირად ჰქონდა ხოლმე სახელოვან ქმართან.

ახლა იმის ჭორიკანობა და ენის ტარტარი? საწმინდემდის მიღწეულს ბერსაც-კი დაუკარგავდა მოთმინებას.

თუმცა ხელმოჭერილი ადამიანი იყო, სიმდიდრე მაინც გაეპარა ხელიდან, გაღარიბდა. აი ეს უკლავდა გულს და მოსვენებას უწამლავდა. თუმცა მცირეოდენი კიდევ შერჩა და იმით ითქვამდა სულს, მაგრამ ოქროს ზოდები-კი გაეპარა, ე. ი. თვალხმიერად მოჰპარეს და ის ქურდი, უჩადი გახლდათ მისი უძვირფასესი მეუღლე გენერალი გულბაათი.

ეჰ, დაიქცეს ცხოვრება და მისი უკუღმართობა! ერთს დროს სალომესაც სხვა ქარები უქროდა, ეხლანდელები-კი არა, არა, სულ სხვა—ახალგაზდობისა, სიმდიდრისა და მხიარულებისა. მაშინ ბევრნი ეტრფოდნენ, არამც თუ კაცები, კინაღამ ქალებიც-კი, ისეთი თვალწარმტაცი რამ იყო!.. თითქმის რომანიც ჰქონდა დასაწყისში თავის საყვარელ გულბაათთან, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზდა ულვაშ-აბზეკილ ჩინოვნიკთან. მაგრამ რას წარმოიდგენდა სალომე, თუ მისი შოტროფიალე და მშვენიერი გულბაათი ისეთი დაცემული, მოდალატე, ლოთი და წამხდარი კაცი გამოდგებოდა.. ან ის რომანი ასე უშნოდ და უპოეზიოდ განქრებოდა!

დიდის მზითვის პატრონი სალომე თითქოს სიყვარულით შეირთო გულბაათმა; თითონაც არ იყო ღარიბი კაცი... მაგრამ, ცხოვრებავ, ოჰ, ცხოვრებავ! გაუგებელ არიან გზანი და სავალნი შენნი!.. ორიოდე წლის შემდეგ გულბაათის სიყვარულიც გაუნელდა, როგორც წყალ-დასხმული კერა და თავისი საკუთარი სალარაც საშინლად შეასუსტა. ყოველ დღე ქეიფი და დროს გატარება, ბალები და საღამოები იყო თითქმის სანატრელი ქვეყნად; დანარჩენი არაფერი ეკითხებოდათ, არც კი დაფიქრებულან, შეიძლებოდა სხვაგვარი, უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი ცხოვრება, თუ არა.

გულბაათმა თავისი რომ გაათავა, ახლა სალომეს ქუთისკენ წაიღო ხელი, მაგრამ იქ სხვა ფხიზელი დარაჯი დახვდა... თუმცა ამ ფხიზელ და აბეზარ დარაჯსაც მოუხერხა თავის მოქონვა, დათათბირება. სალომეს ფულების მომეტებული ნაწილი ჩაიგდო ხელში ვითომ რაღაც დიდებულ და სასარგებლო აზრის განსახორციელებლად. სულ რამდენისამე დღის უკან მიჰხვდა სალომე, რომ მოსტყუვდა, მწარეთ მოსტყუვდა, მაგრამ შველა შეუძლებელი და იყო. სალომეს ფულები გულბაათის ხელიდან მდინარესავით მიდიოდა. ამის გამო დიდი დავიდარაბაც მოუხდათ, მაგრამ საქმე ისე ჰქონდა დაჭერილი მოხერხებულ ჩინოვნიკს, რომ კაცი ვერაფერს გადაახდევინებდა.

მანამდისაც ხომ არ იყო მტკიცე და მჭიდრო მათი კავშირი. შემდეგ უფრო გაირღვა და გაიყარა უსალტო ურმის თვალივით. ერთმანეთს აღარ უთმობდნენ, ჩხუბობდნენ, ილანძღებოდნენ და ხშირად... იმათ მაგიერ მე მცხვენიან, ღმერთმანი... ხშირად მუშტებსაც აღაპარაკებდნენ ხოლმე და ცხვირპირ-სისხლიანები სახლიდან გამორბოდნენ ხალხთან საჩივლელად, საჩვენებლად... ხალხმა თვალი მალე შეაჩვია ასეთს მოვლენას და ყურადღებასაც აღარ აქცევდა. როგორც ძველი რომაელები გლადიატორთა ბრძოლას ისინიც მხოლოდ სეირსა და უყურებდნენ.

ბევრჯელ განშორებულან, ბევრჯელ შერიგებულან; ერთმანეთი დაუწამიათ, ისევ განშორებულან... მაინც უერთმანეთოდ ვერა სძლებდნენ; თითქოს ერთმანეთის დასასჯელად ყოფილიყვნენ გაჩენილნი თავიანთ ხასიათის მიზეზით.

გულბაათს დიდი „პროტექცია“ ჰქონდა, „დიდი ხალხი“ მფარველობდა, თორემ ძალიან ადრე აპარკაპდნენ სამსახურიდან, არამცთუ პენსია შეესრულებინა და „დენერლობა“ მიეღო. ახლა კი "დენერალი" ბრძანდებოდა, თუმცა სამსახურიდან გადამდგარი; გვარიანს პენსიას იღებდა სამშობლოს სადღეგრძელოდ ოც და თხუთმეტი წლის სახელოვან სამსახურისათვის.

ამ ჟამად, მგონი, ორის თვის შერიგებულნი იყვნენ.

გულბაათი თავის პენსიას სულ თითონვე მიირთმევდა, სალომეს კაპეიკსაც არ უჩვენებდა ხოლმე, რის გამოც „დენერალშა“ მეტად გამწყრალი და ნაღვლად გასიებული დადიოდა. სიტყვას არ უსწორებდა ქმარს და სამადლოდ ლუკმის ჭამვას სულ ცხვირში ძმრად ადენდა. გულბაათიც ითმენდა...

მაგრამ, როცა შემოაკლდებოდა სახარჯო, იქამდის კადნიერდებოდა, რომ ფულს ისევ საყვარელს მეუღლეს სთხოვდა... ცოლიც მაშინვე ჩაუჩხრიალებდა ხოლმე.. რასაკვირველია, უარს ლამაზ არშია მოვლებულის ლანძღვით.

გულბაათი იყო... მაგრამ უკაცრავად, აგერ მობრძანდება სამზარეულოსაკენ და თქვენ თითონ დასტკბით იმის შეხედულობით, თორემ აქნება მე ისე ვერ აგიწეროთ, როგორც არის და ტყუილები დამწამოთ, ან გადაჭარბება მიგიყენოთ...აგერ, ბატონებო, მარტო ფორმის სერთუკი აცვია, გახუნებული, გახეხილი. ან კი რით უნდა პალტო მაგისთანა ხორციანს, ჩასუქებულ-ჩაჯორჯვებულს კაცს! მოზდილ ლიპზედ ღილებიც გახსნილი აქვს, რომ უფრო თავისუფლად იყოს იმის ღმერთი და ბატონი—კუჭი; გულთან კი მაგრა აქვს შეკრული. საყელოც გახსნილია. სახე ბუტკო, დაჯორჯვებულ-დაბორდოხებული და შავყვითელი; ლოყები ჩამოცურებულა (თითქოს მეწველი ძროხია) და ქვევითა ყბას ღაბაბას მაგივრად დაჰკიდებია. დიდრონ ტუჩებს საშინლად უხდება მოკლე ჭაღარა ულვაშები; ცხვირი ხომ, თქვენცა ხედავთ, როგორ გადურჯებული და ჭურნის ბოლოსავით გასიებული აქვს! დიდს თვალებს, სისხლის მორევს რომ უგავს და ბოროტების ისრებს ისვრის, ვინ არ შეამჩნევს! თავზედ კაკარდიანი ქუდი რაღაც დარდიმანდულად ჰხურავს და არა დარბაისლურად, როგორც მის ხარისხს შეჰფერის.

ისიც უნდა გაუწყოთ, რომ საოცარი ხასიათი აქვს; დუქანში შესვლის წინ, გარეშემოს ათვალიერებს, არავინ დამინახოსო; მაგრამ იქიდან რომ გამოვა, ცდილობს, ყველამ ყურადღება მიაქციოს მისს ვაჟკაცობას!

აი ამოვიდა კიბეზედ, შემოაჯახუნა კარები და ქშენით შემოვიდა სამზარეულოში. კარებშივე გადაჭიმული დადგა და თვალიერება დაუწყო იქაურობას.

სალომემ, აგრეთვე მაგდამ და ფიდომაც, რომელიც ხვნეშით ვარცლში ცომსა ჰზელავდა, მაშინვე შეატყეს, გულბაათი კარგა დასველებულიყო... და განა ეგ ჩვენ კი ვერ შევატყეთ, მკითხველო, პირველ შეხედვაზედვე? როგორ არა! მაგრამ ხმა არ ამოუღიათ, არც ფიდომ და მაგდამ გასცეს ხმა; სამაგიეროდ სალომემ ვეღარ მოითმინა და შხამი გადმოანთხია:

—მე უბედური, ამ დილას ადრიან რომ არ გახეთქილიყავ, არ იქნებოდა!.. მერე დღეგანდელს დღეს ქრისტიანი კაცი ღვინოს არც კი დადგავს, წითელი პარასკევია... მაგრამ შენისთანა ზნე-წამხდარ ადამიანისთვის არც წითელი პარასკევია და არც აღდგომა!..

გულბაათი ცოტათი შეტორტმანდა, ასეთი ტკბილი სიტყვები ცოლისა თუმცა პირველი არ იყო, მაინც ეწყინა და პასუხის მიცემა დააპირა. მაგრამ ისევ შესდგა, გული დაიმშვიდა თითონვე და სალომეს მიაპყრა მავედრებელი თვალები:

—ნუ კი ილანძღები, ადამიანო... რაც იცი ახირებული და უსაფუძვლო უბედობა... შენ ადე და მომეცი ორიოდე მანეთი... შემომაკლდა... ავიღებ და სარგებლითა დაგიბრუნებ... ამას ამბობდა და თან ნორჩი წნორივით გადა-გადმოდიოდა, პატარა თავი ძლევდა უზარმა-ზარს ტანს.

ეს რომ გაიგონა სალომემ, ცეცხლი მოეკიდა, პირისახეზე ალმური აჰკვარდა მეტის სიანჩხლით.

—როგორ? განა ორი თვის პენსია კიდეც გადაჰჭამე!.. დღეს ხომ ათია, პირველში არ აიღე, შე ჩემი ცოდვით სავსევ, შენა?!.. შე შერცხვენილო, შენ უნდა მაძლევდე შესანახს, თუ პირიქით ისევ მე მთხოვ ფულს მაგ ჩასახეთქ მუცლისთვის!.. არ გეყო, რაც შესჭამე და გადაყლაპე!..

ისე ცხარობდა, რომ სიტყვების შერჩევას ვეღარც კი ახერხებდა და განაგრძობდა ქადაგათ დაცემულივით:

—რაც მებადა, შენ ჩაჰხეთქე, შენ დამსვი ცარიელზედ, შენ გამამწარე ყელი... შენ გამხადე ასე ავად, შენგანა ვარ ამ უბედურებაში, არც დღე მაქვს მოსვენება და არც ღამე... ადამიანი ვღნები ზეზეურად—სულ შენის წყალობით და ეხლა გინდა, რომ ლუკმა პურიც გამომწყვიტო, სულ მშიერი დამ... ?! მაგას ვერ შეეწყრობი, ბევრიც რომ თავი ქვას ახალო... შე ქურდო, ავაზაკო... შე ბებერო ქოფაკო..

აქამდის გულბაათი ისე ისმენდა სალომეს სიტყვებს, როგორც ყმაწვილი ცელქი დარიგებას, რომელიც ფიქრობს: შენ რაც გინდა თქვი, ოღონდ აქედან კი მეღირსოს გარეთ გავარდნაო. მაგრამ როცა უკანასკნელმა სიტყვებმა იმის ყურის დაირაზედ განგაში დაჰკრეს და მოთმინების ძაფი გაწყვიტეს, მაშინ კი ჩვენი ძველი გმირი აღსდგა, გამოიღვიძა და თავგასულს დიაცს ისე დაუბრიალა თვალები, რომ უკანასკნელმა, ცოტა არ იყოს, უკან დაიხია.

გულბაათმა იფეთქა: —ვინ არის ქოფაკი, შე წუწკავიანო სალახანავ, შე ცოფიანო... და სხვა ამ გვარი მარგალიტებით მიჰმართა სალომეს ჯავრის ამოსაყრელად; თან იარაღიც მოიმარჯვა... ორიოდე მუშტი რომ დაერტყა, დაჩიავებული სალომე იქვე მიაბარებდა უმანკო სულს.

მაგრამ ცომიანის ხელებით მიჰვარდა ფიდო გულბაათს და ალაგობრავ გააკავა.

სალომემ რა კი ნახა, საყვარელი მეუღლე ვერაფერს დააკლებდა, მისდგა და თავისებური ქარაგმიანი ლანძღვა დაუწყო ასეთის რიხითა და ძალით, რომ კალამი ვერც კი მიგახვედრებთ, თუ თქვენ თითონ არ გინახავთ სადმე იმის მსგავსი. ბოლოს მიაძახა:

— დაიკარგე აქედან, შენი ფეხი აქ აღარა ვნახო... გაეთრიე, შე წუწკო და სალახანავ... დაიკარგე ჩემი სახლიდან... (სახლი მართლა სალომეს ეკუთვნოდა).

— მე შენ გაჩვენებ, როგორც უნდა ლანძღვა... გამიშვი, ბიჭო, შე მუდრეკო... როგორ მიბედავ!.. რო მოკვდე, რო ძაღლ-ტყავათ იქცე, ჩემზედ ადრე შენ მოკვდები და შენი ნახარი, თუ გდია სადმე რამე, მე დამრჩება... სულ დუქანში დავაგორავებ შენი გამოჯავრებული... გამიშვი, ერთი მაგას ცხვირი ჩავუჩეჩქვო, მაგ გამხმარ ჩონჩხს...

მაგდა თავის საწყალ ქალბატონს უფრთხილდებოდა, რომ გულბაათს უცებ არა დაეკრა-რა...

ვიწრო სამზარეულოში მოხდა არეულობა, ასტყდა ტრიალი, ხმაურობა, ბრძოლის კიჟინა... ადამიანებს ბანი მისცა ჭურჭელმაც და ერთმანეთს ეცა. ახლა იმათი ჩხრიალი, ხრიგინი მიემატა და ისეთი უშველებელი ორომტრიალი შეიქმნა, რომ თქვენი მოწონებული.

ძარღვებ-მოდუნებულმა სალომემ ვეღარ აიტანა ამ ნაირი ხმაურობა და ვაი ვაგლახი; ანიშნა ბიჭს, რომელიც ამისთანებში გაწვრთნილი ჰყავდა, თითონ კი აღშფოთებული გავიდა ოთახში წვეთების მისართმევად, რომ დამშვიდებულიყო. მაგდა ქალბატონს გაჰყვა.

ფიდომაც თავისი ქალბატონის ბრძანება მსწრაფლად აასრულა. გაადო სამზარეულოს კარი, გამოიყვანა გარეთ ბატონი გულბაათი, შეკეტა სწრაფად კარი და მაგრა გადარაზა.

გულბაათმა რომ დაატყო, მარცხდებოდა, მიიხედ-მოიხედა, ნახა, რაღაც კეტი ეგდო იქვე, აიღო და გაჯავრებულმა იმით დაუწყო კარებს ცემა და მტვრევა...

ჯერ ჩხუბის ხმამ, ახლა ამ ბრახუნმა მთელი უბანი ფეხზედ დააყენა, სეირის საყურებლად მოსულიყვნენ...

გულბაათი ისე გამეტებით სცემდა, რო კარებს ძალიან მალე შეამტვრევდა, ფიდოს რომ არ მოესაზრა. კარი უცებ გააღო, დაკრული კეტი მეომარს მოუცდა. ამით ისარგებლა ბიჭმა, გააგდებინა კეტი; მერე ძლიერად ჰკრა ხელი და დააგორა კიბეზედ იმოდენა კაცი. ჩაგორდა რახრახით საბრალო დამარცხებული გულბაათი და კიბის ძირში უგრძნობლად დაეცა. საშველად კი ფეხი არსაით გადმოუდგავს...

ცოტა ხანს ეგდო ისე, თითქოს გული შეუწუხდაო; ბოლოს მოიხედა, წამოდგა და კოჭლობით გასწია, უხუმრათ, კრიჭა შეკრულივით...

გაგანგლულმა და უქუდომ გასწია საითაც... თითონაკ არ იცოდა, სად მიდიოდა...

ცოტარა ხანს უკან ბრაზსა და ბოღმას ვეღარ გაუძლო, ცრემლების ღვარმა მოჰხეთქა... გულ-ამოჯდომით დაიწყო ქვითინი, როგორც ბალღმა... რაზედ სტიროდა, თქვენ გამოიცანით, მაგრამ ცრემლით კი შეიმსუბუქა გულის იარა დროებით მაინც...

—

შაბათმაც გაიარა- სალომემ თავისი პასკები მშვიდობიანათ გამოაცხო.

აღდგომაც გათენდა.

სალომეს ძვირფასი მეუღლე არ მოუკითხავს და არც თითონ მოსულა მას შემდეგ.

ყველა მხიარულებდა, ქრისტეს აღდგომას ულოცავდნენ ერთმანეთს. ყველა თითქოს კეთილის სურვილებით იყო გამსჭვალული. მთელს იმ სამაზრო ქალაქუნას სადღესასწაულო ელფერი ედო.

სალომეც არ იყო ცუდს გუნებაზედ. დილას ადრიან მოსალოცად შემოვიდა მაგდა და თან ახალი ამბავიც მოუტანა.

— ამ დილით ქალ-ბატონო თქვენი ქმარი გაყინული უნახავთ ქუჩის სკამზედ...

—გაყინული?!. თითქოს მღელვარება დაეტყოვო სალომეს გაყინულს სახეს.

— დიახ, მარტო პერანგის ამარა და ყოფილა ღამე ამ სიცივეში და გაფიჩხებულა... საბრალო ბატონი!..

— მაშ დღესვე უნდა ვნახო ჩვენი გრიშა, რომ თხოვნა დავაწერინო... ეხლა იმის პენსია ჩემზედ უნდა გადმოვიდესო... ამ სიტყვების კილო კი უფრო სიხარულის მომასწავებელი იყო, ვიდრე სინანულ-სიბრალულისა!

მაგდამ ქალბატონისაგან ეს რომ გაიგონა, გულში გაიფიქრა: ამას ეს სააღდგომო საჩუქრათ ეწვენაო... რა არის ადამიანი?.. ავი, დაუნდობელი, ხარბი... თვით აღდგომასაც კი... თავი გაიქნია და იქვე მიბრუნდა საქმის გასაკეთებლად.

დავ. ნახუცრიშვილი.

ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐ.

ოჰ, გაზაფხულო, ვაშა შენ!
დიდი გქონია ძალია;
თოვლით და ყინვით გამხმარ ხეს
კვლავ ჩაუყენე წყალია.

აყვავ-ამწვანდა მთა-ველი,
თვლემას მოშორდა ბარია,
ჰმღერენ, ჰგალობენ ფრინველნი,
დაჰკრეს აღდგომის ზარია!

«ქრისტე აღსდგაო!»—ეტყვი დღეს,—
«აღსდეგ შენც, კმარა ძილია!
აღსდეგ, გაითბე გულ-მკერდი,
ყინვისგან შებოჭილია!»

«ქრისტე აღსდგაო!»—ჰიმნს გალობს
ბუნება გაცოცხლებული;
«ჭეშმარიტადო»!—ბანს აძლევს
ცხოვრება განახლებული.

«ქრისტე აღსდგა», «ქრისტე აღსდგა»!
«ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად»!...
საუკუნოდ ვიგალობებთ
ცხოვრებისა ახლის ნიშნად.

ალ. მჭ—შვილი.

ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲦᲡᲓᲒᲐ!

დღეს ქვეყანა მხიარულობს,—
დღესასწაულის დღე დადგა:
ულოცავენ ერთმანეთსა:
«ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა!»...

ქრისტე აღსდგა! გვიხაროდეს,
მადლი მახარობელსაო!
და ცხოვნება მორწმუნეთა
იმ ზეციურს სოფელსაო!...

ქრისტე აღსდგა! გვიხაროდეს!
და ვაი მისს გამცემელსა,
რომ დასაჩაგრად შეეხო
დაჩაგრულების მშველელსა!...

ქრისტე აღსდგა! გვიხაროდეს!
ძლეულ იქმნა სიკვდილიო
და ცად ცხოვრებას გვანიჭებს
უხვი იესო, ტკბილიო!..

ქრისტე აღსდგა! გვიხაროდეს!
თაყვანი ვსცეთ მეუფესო!
ქრისტე ვაქოთ და ვადიდოთ:
აღდგომაა მისი დღესო!

მელქისედექ მიდოსვაძე

ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ.

(სააღდგომო)

სურათი გურიის ცხოვრებისა.

I.

კვირა დილას სოფელ №-ის «კანცელარიის» ფართო ეზო ხალხით იყო გაჭედილი. სოფლელები გაცხარებით ბაასობდნენ სხვა-და-სხვა საჭირ-ბოროტო საქმეზე და ერთმანეთს უზიარებდნენ დღიურ ვარამს. ზოგი სოფლელი მონაწილეობას არ იღებდა საერთო ლაპარაკში. ონისიმეც განცალკევებით, ღობის კიდეში, ფეხ-მოკეცილი იჯდა და გრძელ იასამანის ტარიან ჩიბუხს ეწეოდა. დაღვრემილი იყო. ეტყობოდა, ონისიმეს დიდი მწუხარება ჰქონდა გამოვლილი. იმის გაჭაღარავებულ გრძელ წვერებს სიო ნელად არხევდა. თამბაქო რომ ფერფლად იქცა ჩიბუხში, ფერფლი იქვე ქვაზე გამოყარა, წელიდან გამოიძრო გრძელი სათუთუნე ქისა, ჩაჰყო შიგ ჩიბუხი, კვლავ აავსო თამბაქოთი, მეორე ქისიდან ამოიღო კაჟი, დაადო აბედი და გაჰკრა კვესი. ცეცხლი მოედო აბედს და ონისიმე ისევ დაეწაფა თუთუნსა.

ამ დროს ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა: ონისიმე წამოდგა, ჩიბუხი წელში გაირჭო და მიუახლოვდა «კანცელარიას»... მამასახლისი გამობძანებულიყო.

სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა სმენად გადაიქცა; მამასახლისი იქვე მდგომ მწერალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღასაც ჩაელაპარაკა. მწერალი გავიდა ოთახში და გამოიტანა რაღაც ქაღალდი.

«საქმე იმაშია, დაიწყო მამასახლისმა, რომ წელს ახალი ჯარის კაცები უნდა გაიწვიონ სამსახურში; ყველა ის ყმაწვილ კაცები, რომელთაც 21 წელი უსრულდებათ, «უეზდნი ნაჩანიკის» მოწერილობით, ამ და ამ დღეს უნდა გამოცხადდენ ქ.—ში «ნაჩანიკთან» ბილეთის ამოსაღებათო, მამასახლისმა წაიკითხა იმ ყმაწვილ კაცთა სია, რომელთაც წელს უნდა ამოეღოთ კენჭი. საზოგადოება ალაპარაკდა, ბევრს მწუხარება დაეტყო სახეზე. ზოგმა ჩაახველა და ღმერთს შეევედრა: «ღმერთო, შენ ხარ ჩემი შემწე»-ო.

ზოგი ერთმანეთს ელაპარაკებოდა დაბალის ხმით, ზოგიც თავ-ჩაქინდრული ჯოხით მიწას სჩიჩქნიდა, რაღაც ფიქრს მისცემოდა.

ონისიმე სულ უკან იდგა და დაფიქრებული ნაღვლიანად თავს აქნევდა და ოხრავდა....

ხალხი დაიშალა, წელში მოხრილი ონისიმეც, პირში ჩიბუხით, გრძელ ჯოხს მიაბიჯებდა და ისიც თავ-ჩაღუნული მიფრატუნებდა სახლისაკენ.

II.

სოფელ №-ის მცხოვრები გლეხი, ონისიმე მშვიდობაძე, ახალ-გაზდობაში თვალ-საჩინო ვაჟკაცი იყო. პატიოსანი, წყნარი, კარგი სამეზობლო-საამხანაგო, მშრომელი; არავითარი ტირილ-ქორწილი არ გადიხდებოდა უიმისოდ. კაცი კაცის წამალიაო», ამბობდა ონისიმე, და ყველას სიხარულით ეხმარებოდა ჭირში თუ ლხინში, მაგრამ დღეს ძალზე მოხუცს უილაჯოს, წელში მოხრილს მუშაობა აღარ შეეძლო.

ონისიმეს მეუღლე როდამი, თუმცა ქმარზე ბევრად ახალ-გაზრდა იყო, მაგრამ იმასაც მოტეხა ეტყობოდა, მის პირი-სახეს კიდევ ემჩნეოდა სილამაზის ნიშანი და იერი. ტკბილად დაბერდნენ ორივე ცოლ-ქმარი. ონისიმე გაჯავრდებოდა—როდამი ჩუმად იყო, როდამი გაჯავრდებოდა და—ონისიმე იყო ჩუმად, არ ეწინააღმდეგებოდა. იმათ ამ დროინდელი ცოლ-ქმრული უთანხმოება არ გამოუცდიათ და ეხლანდელი ცოლ-ქმარული უთანხმოება-განხეთქილება, ერთმანერთის ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება რომ გაეგონათ და დაენახათ—ღვთის რისხვათ და მომაკვდინებელ ცოდვათ ჩასთვლიდენ...

ონისიმეს ორი ვაჟი ჰყავდა: ლავრენტი და კოწიე. ონისიმე რომ «კანცელარიიდან» სახლში მოვიდა, ამ დროს როდამს წყალით სავსე დოქები მოჰქონდა. ქმარი რომ დაინახა, შეჩერდა. ონისიმეს არა ჩვეულებრივი მდგომარეობა და დაღვრემილება როდამმა შეამჩნია და ფერი ეცვალა. ფაცხის კარებთან დადგა დოქები, კაბა ჩამოიწია, წელზე ხელები შემოიდგა და შეეკითხა ქმარს:

— რა ამბავია, ბოშო, რაზე იყო ყრილობა დღეს?—ონისიმემ ამ შეკითხვაზე ამოიოხრა, ჩიბუხში თამბაქო ჩაყარა და მიუგო:

— უბედურ კაცს ქვაი აღმართში მიეწევაო, ჭკვიან კაცს უთქვამს, ხომ გაგიგონია! ამ სიბერის დროს აღარ აგვცილდა უბედურება! ჩვენი ბიჭი ლავრენტიე სალდათად მიყავენ, დღეის-სწორს კენჭის ყრაია, ბილეთი უნდა ამოიღოს... ქე მაინც ცოლის შერთვა არ ეჩემებია, მაშოიე არ დიენიშნა»... გაჩუმდა, ჩიბუხს დაუწყო წრუპნა, კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ამ დროს გაფითრებულმა როდამმა მარჯვენა ხელი ლოყაზე შემოირტყა და აცრემლებულმა წამოიძახა:

— უი, ჩემ განიჟებულ ცხოვრებას! უი შენ დედას, შვილო ლავრენტიავ! თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა და იქვე ჩაჯდა.

ორივე ცოლ-მქარი ჩუმად იყვენ... შემდეგ როდამი წამოდგა, კაბის კალთით ამოიწმინდა ცრემლები, «ღმერთო შენ გმადლობ»— წაილაპარაკა და დოქები ფაცხაში შეიტანა.

სადილობის დროს ლავრენტი და კოწიე მოვიდენ სახლში. იმათ დანახვაზე როდამს გული აუჩვილდა, თვალები აუცრემლდა და დაიწყო ქვითინი. შვილები გაჰკვირდნენ; მამა მოწყენილია.

— არ იტყვით, რა ამბავია? რა მოგივიდათ? შეეკითხნენ. როდამი ეხლა უფრო ხმა-მაღლა აქვითინდა:

— უი უბედურ შენ დედასა, შვილო ლავრენტიავ! სალდათად მიჰყავხარ, დღეისტორს ქ.-ში უნდა წახვიდე, კენჭის ყრაა, ბილეთი უნდა ამეიღო!

— ხომ არ გადირიეთ! ვინ თქვა, რომ თქვა?—ე., შვილო, მამაშენს კითხე, კონცელარიაზე» იყო, მამასახლისმა გამოუცხადა, ხელმეორედ მიუგო როდამმა.

ელდასავით მოხვდა ლავრენტის ეს ამბავი.. სალდათობა მაინც-და-მაინც იმდენად არ აწუხებდა; მის მწუხარების საგანს ეხლა მაშო შეადგენდა; თავის იმედი, საყვარელი საცოლო, დანიშნული მაშო უნდა დაეტოვებია; ჯვარის დაწერა, არ უნდოდა ბილეთის ამოღებამდე... თითქო ერთ წამს შეურიგდა ამ აზრს, გადასწყვიტა ორ დღეში ჯვარის დაწერა «სულ ერთია წამიყვანენ თუ არა სალდათადო», მაგრამ სისრულეში ვერ მოიყვანა ეს წუთიერი განძრახვა. ორი მუშა ხელი ძლივს ვარჩენთ დედ-მამას, ეხლა მე თუ სალდათად წამიყვანეს—მე ცალკე ფული უნდა მიგზანონ და ჩემი ცოლიც უნდა არჩინონ—ყველა ამაებს კოწიამ უნდა გაუწიოს ანგარიში. აბა სხვა ვინღა არის მარჩენალი». ეწყინა ეს ამბავი ლავრენტის, მაგრამ მშობლებისთვის რომ აღარ შეემჩნევინებია თავისი მწუხარება,—გაიცინა და დასამშვიდებლად სთქვა:

— რაგატირებს ნენა! მაგაზე მეტი სამწუხარო ღმერთმა ნუფერი მოქცეს! ჯერ რა ნომერს ამევიღებ, ვინ იცის და თუ წამიყვანებენ, რა მიჭირს მერე? დიმიტრაის ბიჭი, სამსონაიც, კი იყო სალდათში, მარა მშვიდობიანად გაათავა სამსახური, რუსული ისტავლა და ახლა ხომ იცი, ბათომშია «სტრაჟნიკათ», ფას ოცდაათ მანათს ღებულობს თვეში ჯამაგირს»ო. მაგრამ დედა როდამი კვლავ ტიროდა.

აი კენჭის დღეც მოვიდა. დაიწყო ბილეთების ამოღება. ყველას გული უფანცქალებდა, ზოგს ნაცრის ფერი გადაჰკროდა და, როდესაც ბედის გადამწყვეტ კოლოფს მიუახლოვდებოდენ ბილეთის ამოსაღებად, ხელი უკანკალებდათ...

გამოუძახეს ლავრენტი... მიუახლოვდა კოლოფს... შეხედა «ნაჩანიკს», ექიმს და ნაღვლიანად გადაავლო თვალი. «ნაჩანიკმა» აღელვება შეამჩნია და დაცინვის კილოთი უთხრა: «აბა, მშვიდობაძევ, ამეიღე პატარა ნომერი»-ო.

ჩაჰყო ხელი კოლოფში. შეჩერდა. თითქოს ხელი ადუღებულ კუპრში ჩაჰყოო, გული უკანკალებს...აურ-დაურია ბილეთებს და ორი თითით ამოიღო ერთი ბილეთი და... გადასცა «ნაჩანიკს»... თითქოს სულის თქმა შეუწყდა. ონისიმე და კოწიე მისჩერებიან «ნაჩანიკს». ამან ბილეთი გახსნა,—დახედა... პირი შეუცინდა, შეხედა ლავრენტის და ნელად დაიძახა: «25...»

— «საბრალოს, ქე არ მოუწია!» წამოიძახეს დამსწრეთ. ლავრენტი გარინდებული დგას. ალმური მოედო ლავრენტის, შემოტრიალდა სწრაფად და გამოვარდა გარედ...

როდამი ვეღარ ისვენებდა. თვალს არ აშორებდა ჭიშკარს და მოუთმენლად ელოდდა ქმარ-შვილს. მზე უკვე გადაიხარა დასავლეთისაკენ. აგერ ქათმები კაკანით შეფრინდენ ხის ტოტებზე და მოქურუჟდენ». როდამმა ღორები შეამწყვდია, ძროხა მოწველა და ის იყო «ჩარხანაით» რძეი შეიტანა ფაცხაში, რომ ამ დროს შინაურმა ძაღლმა ზეკამ მორთო ყეფა და გაიქცა ჭიშკრისაკენ. ძაღლის ყეფაზე როდამმა «ჩარხანაი» კერის ძირში დადგა და გარედ გამოვიდა. გვარიანად ბნელოდა. ჭიშკარმა ჭრიალი მოიღო და ეზოში შემოვიდენ სამივე მამა-შვილი. ზეკაი კუდ-გარიკინებული ეპოტინებოდა, ელერსებოდა ხან ერთს,ხან მეორეს. როდამმა ფაცხაში შემოსვლაც არ აცალა და შორიდან შეეკითხა:

— «რავა გაყუნჩებულხართ! რა ამბავია? რა ქენი, შვილო ლავრენტიავ?-».

— რა ვქენით და მამიწია სალდათობა და გათავდა!»—როდამმა შეჰკივლა, მაგრამ ჯერ ლავრენტიესსიტყვას არ დაერწმუნა. როცა კოწიაეს,და ონისიმესაგანაც იგივე გაიგონა, როდამმა ეხლა უფრო მწარეთ იკივლა, თმები ჩამოიწეწა, შევიდა ფაცხაში, დაჯდა «ჯორკოზე» და მორთო გულ-შემზარავი ქვითინი...

— ტირილის დროი აღარ არის, როდამავ! სამ-ოთხ დღეში ბიჭი სამსახურში უნდა წევიდეს, შუუკერე ნიფხავ-პერანგი, წინდები უშონე და საგძალი მუუმზადე... სიკვდილს შემდეგ სინანული გვიანი არისო!».. სთქვა მწარედ ონისიმემ.

მეორე დღეს ლავრენტი წავიდა თავის საცოლოსთან. როგორც ონისიმეს სახლში, ისე ლავრენტის საცოლოს სახლში ნამდვილად გლოვის ზარიი დგა. ლავრენტი გულ-მაგრობდა.

— რავა მოგიწყენიათ? სალდათობა მომიწია, მერე რაი! ღვთით, ადრე გავათავებ სამსახურს, მოვალ და მაშინათვე დევიწერ ჯვარს! უთხრა ლავრენტიმ.

— ღმერთმა კაი იმედი მოგცეს, ლავრენტი—მიუგო სასიდედრომ,—სამსახურს გაათავებ, მერე დეიწერ ჯვარს, მარა აი მაშოიე მანამდი ქე მომიკტება! ხომ ყურობ, ეგერ ოთახში რაფერ ტირის; აგი ამბავი რომ შეიტყო, ვერაფრით ვეღარ გავაჩერეთ, შედი ეგება შენ გააყუნჩო!

მაშოს შერცხვა ლავრენტისა;ადგა ლოგინიდან, შეხედა საქმროს, ცალი ხელი თვალებზე მიიფარა და ცალი გაუწვდინა ჩამოსართმევად. ლავრენტი მიუახლოვდა მაშოს, თავის ხელით ამოაძრო გრძელ გიშრის ფერ თმიდან რამოდენიმე ბეწვი, გამოჰხვია ქაღალდში და ჩადო გულზე დაკიდულ ტყავის საფულეში. მაშოს თან და თან გადეყარა დარდი; სატრფოს ხილვამ სიხარულის სხივები მიაფინა, ის უცებ კისერზე ჩამოეკიდა და ჩაეკონა ტუჩებში... ლავრენტიმ თავის მაშოს გააწყვეტინა ლაპარაკი და სიცილი, და გამოიყვანა ოთახიდან.

— აღათი, ძლივს გავაჩუმე შენი ქალბატონი... ჩემი... საცოლო! ამ სიტყვებზე მაშო გაწითლდა, თვალებზე ხელმეორედ ცრემლები მოადგა და, რომ არ შეემჩნიათ, მოიგონა—«უი ქადი დეიწონობდა კეცზეო» და მსწრაფლ გარედ გავარდა.

დადგა ლავრენტის გამგზავრების დროცა. დედამ გაუმზადა საცვლები, საგძალი... ონისიმემ ძველებურ ზანდუკში ბურჯგვნა დაიწყო, ამოიღო შაქრის ქაღალდში გახვეული ხუთი მანეთის დაჟანგებული გროშები და შვილს ჩაუდო ჯიბეში გამოთხოვებისას. ყველანი ქვითინებდნენ, განსაკუთრებით კი მაშო.

— ჩემო ლავრენტი! წერილი მალ-მალე მოიწერე!.. უთხრა დანიშნულმა, ჩაეკონა და ცრემლებით დაუსველა ლოყები. ყველამ სამ-ჯერ შემოატრიალა წაღმა მგზავრი, და განშორდნენ...

III.

ლავრენტი მშვიდობაძე ჩარიცხეს №-ის პოლკში, რომელიც იმყოფებოდა შიდა რუსეთის ერთ მოზრდილ ქალაქში. პირველ ხანებში დიდ გაჭირვებას იტანდა; ჯერ ერთი, რომ მკაცრმა ბუნებამ, უჩვეულო ჰავამ შეარყია და როტაში გამოცხადების ერთი კვირის შემდეგ ავად გახდა. ლაზარეთში გაგზავნეს. ლავრენტის მდგომარეობა სწორედ აუტანელი იყო. რუსულს ვერ ლაპარაკობდა და ვერ უამბობდა თავის სატკივრებს, გაჭირვებას და მუნჯურ ნიშნებს მიჰმართა.

გამოსვლის უმალვე რუსულ ანბანის წერა დააწყებინა მასწავლებელმა. ცოტაოდენი ნიჭიც გამოაჩნდა ლავრენტის და ერთი-ორი თვის განმავლობაში ანბანი შეისწავლა და რამდენისამე თვის შემდეგ გარკვევით კითხულობდა, ხოლო ჯერ აზრის გაგება უჭირდა და თუთიყუშივით იზეპირებდა, რა გაჭირვება გამოიარა ლავრენტიმ, სინამ რუსულ წერა-კითხვას ისწავლიდა და საყველ-პურო ლაპარაკს, ძნელია ამის აღწერა. ბევრჯელ დააპირა სამსახურიდან გაქცევა, მაგრამ სისრულეში ვერ მოჰყავდა თავის განძრახვა. სად წასულიყო, როცა გზა არ იცოდა და გზაც რომ სცოდნოდა, ამ უცხო მხარეში ფული არ გააჩნდა და თანაც მშობლების საცოდაობა და იმათი სიყვარული აკავებდა და ყოველნაირ წვალება-გაჭირვებას მორჩილებით იტანდა...

სამსახურის დასრულების დრო ახლოვდებოდა. სიხარული ემატებოდა ლავრენტის, დღე თვეთ ეჩვენებოდა, თვე წელიწადათ. ამდენი წვალების შემდეგ ელირსებოდა მაშოსთან ალერსი, თვისი სატრფოს ხილვა... აი, რვა თვე-ღა დარჩენია სამსახურის გათავებამდე. ლავრენტიმ სახლში წასასვლელად შეიკერა ახალი მუნდირი თავის მოწყობილობით, ჩაალაგა წითლად გალაქულ ხის ზანდუკში და ყოველ შაბათ ნასადილობევს ამზევებდა.

სამი ახალი წელი და აღდგომა, სანამ სამსახურს შეეჩვეოდა, არც-კი შეუმჩნევია ლავრენტის. პასკა და წითელი კვერცხები როტაშიაც-კი ჰქონდა, მაგრამ შინაურთან შედარებით არც გემო ჰქონდა და არც იმდენად ასიამოვნებდა... ერთს უკანასკნელ აღდგომასაც აქ უნდა შეხვედროდა. «აღდგომას შემდეგ კიდევ ორი თვე მრჩება! რა უჭირს, რომ აღდგომამდე გამანთავისუფლონ, სახლში გამიშვან; ხომ არაფერი დააკლდება სამსახურს?!.» ასეთი ფიქრები უტრიალებდა ლავრენტის თავში; მაშოსი, დედ-მამის, სახლ-კარის ნახვის სურვილი თან-და-თან უძლიერდებოდა. აღარ მხიარულობდა ლავრენტი ჩვეულებისამებრ, დაღვრემილი და დაღონებული დადიოდა და სამსახურსაც უგულოდ ეკიდებოდა. ამ რიგ მდგომარეობას თითონვე ამჩნევდა, მაგრამ ვერ დასძლია და ვერ. უნტერ-ოფიცრებიც ხშირად აძლევდენ შენიშვნას;ერთხელ ასეთი დანაშაულობაც ჩაიდინა, რომ როტის კომანდირმა, მიუხედავად იმისა, რომ უყვარდა, ხუთი დღით «გაუპტვახტაში» დაამწყვდია.

აღდგომა მოახლოვებული იყო... ერთ საღამოს ლავრენტი იჯდა თავის ტახტზე. შავი პურის ნატეხს «ხრავდა». ამ დროს როტის მწერალმა წერილი გადასცა. ლავრენტიმ პური ლოგინზე დააგდო, საჩქაროდ გახსნა წერილი და გადაიკითხა. წერილი მაშოსაგან იყო.

«ძვირფასო ლავრენტი! მოგილოცავ მომავალ ქრისტეს აღდგომას და გისურვებ მალე ჩამოსვლას... მოვკტი, ღმერთმანი... ნუ მკლავ... შენ ფიქრში ვარ ყოველ დღე, მალე მომწერე, როის ჩამოხვალ, რომ გზაზე შემოგეგებო... თქვენები კარგად არიან... შენი მოსიყვარულე მაშო».—წერილის ოთხივე გვერდი სავსე იყო ნაწერით. მაგრამ ამ ადგილმა უფრო აღელვა ლავრენტი და რამდენჯერმე გადაიკითხა. დაკეცა, ჩაიდო ჯიბეში და დაფიქრდა. უცნაური აზრი მოუვიდა: «რაღა დამრჩენია? მოდი, დღესვე გავიქცევი ჩემ მაშოსთან მაგრამ ხომ დამკარგვენ, რომ გევიქცე!.. ეჰ, რაც დამემართება—დამემართოს, სადაც სამი წელიწადი გავატარე, რამდენიმე თვეს რავა ვერ გავატარებ»...

წითელი პარასკევია. როტებში დიდი მზადებაა... ყველა ფაცა-ფუცშია. ყაზარმებში ხმაურობა, სიმღერა-ლაპარაკი, წაბიძგ-წამობიძგება, ლანძღვა, გინება ერთმანეთშია არეული; ქალაქიდან პასკები მოიტანეს და დააწყეს როტის «კანცელარიაში». არის საერთო მოძრაობა, ფაცური... დაღამდა. სრულ ცხრა საათზე «სალდათები» გადასთვალეს, ბოლოს «ფელთფებელმა» მეორე დღის «პრიკაზი» წაიკითხა, ვინ სად უნდა წასულიყო საყარაულოდ.

ლავრენტის ხვდა წამლის შესანახ სარდაფის დარაჯობა, ცოტა ქალაქზე მოშორებით, გორაზე.

დიდ შაბათს, დილის 7 საათზე, ყარაული წარუდგა დასათვალიერებლად როტის კომანდირს და მის თანაშემწეს, ბრძანება მისცეს, წასულიყვენ დანიშნულ «პოსტებზე»...

წამლის შესანახ სარდაფთან დარაჯნი სამ რიგათ იყვენ დაყოფილი. თითო რიგი ორ-ორ საათს უნდა მდგარიყო «პოსტზე»...

მოაწია ღამის 12 საათი. ქალაქიდან მოისმა ზარების რეკა და ამცნო ხალხს ქრისტეს აღდგომა...

— მშვიდობაძე! ვსტავაი, პარა ნა პოსტო», გამოაღვიძა «ეფრეიტორმა» მთვლემარე ლავრენტი. წამოდგა, ნამძინარევი თვალები ამოიქლიმა, შინელი გაისწორა, აიღო თავისი თოფი და «ეფრეიტორთან» ერთად წავიდა ამხანაგის გამოსაცვლელად.

ზარების რეკა არ წყნარდებოდა. იწვევდა მიძინებულ ხალხს სადღესასწაულოდ, სასიხარულოდ, ქრისტეს აღდგომის დასასწრებლად.

ლავრენტი უვლის გარს წამლის შესანახ სარდაფს. ერთი მხრიდან მეორეზე გაიდებს თოფს, შეჩერდება, გაჰხედავს გალაპლაპებულ ქალაქს და ყურს უგდებს ზარების წკრიალს... «დღეს აღდგომაა»! წაიბუტბუტა ლავრენტიმ. გაჩაღებული ქალაქი თავის სოფლის ეკკლესიად მოეჩვენა. ის ოცნებობს თავის დანიშნულზე, მისი აზრები ეხლა თავის სახლ-კარ-მიდამო შინაურებისაკენ მიილტვის... ზარის ხმაც ნაცნობია... აგერ მიდის დედ-მამასთან ერთად ეკკლესიაში. ეკკლესიაში ტევა აღარ არის, ხალხი გაჩაღებული სანთლებით ეკკლესიის გალავანშია მხურვალედ ლოცულობენ... აგერ სოლომონ მღვდელი სანთლით და საცეცხლურის ქნევით ლიტანიას უვლის ეკკლესიას... სამჯერ შემოუარეს ეკკლესიას... აგერ ვილაცამ დაიძახა:—„ქვაი ურიასო“, გადიხროლეს ქვები ლავრენტიმაც დაიძახა—,,ქვაი ურიასო‘‘, დაიკუზა, აიღო ქვა და გალავანს გადაღმა გადისროლა... ყველა მხიარულებს.,. პატარა სოფლის ბიჭები დარბიან, წითელ კვერცხს უკრავენ ერთმანეთს, ტუჩები ჭიაფერით გაწითლებული აქვთ... აი სოლომონ მღვდელმა აღამაღლა ჯვარი და მიულოცა ხალხს: ,,ქრისტე აღსდგა‘‘!—,,ჭეშმარიტად აღსდგა!‘‘ იგრიალა ხალხმა... ერთმანერთს ულოცამენ აღდგომას... აგერ ლავრენტიმ გადაჰკოცნა მამა, ნათესავები, ნაცნობები... დაინახა მაშო... მიდის მისკენ მისალოცად, უნდა აკოცოს...

ასეთ ტკბილ ოცნებაში გართული ლავრენტი თოფის ტუჩს მარჯვენა მკლავით ჩამოჰყრდნობოდა და ჩასძინებოდა... კომანდირი ამ დროს ,,პოსტებს‘‘ ათვალიერებდა. კომანდირი ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა წამლის შესანახ სარდაფს. შეჩერდა, არავინ სჩანს, დაახველა ხმა არ ისმის... უკვირს კომანდირს. შემდეგ შემოუარა მეორე მხარეს და... თავს წააწყდა მძინარე ლავრენტის:

— ააა, მშვიდობაძე! პოზდრავლიაიუუუ!.. ხრისტოს ვოსკრეს!.. ტაკ, ტაკ, ჩასოვოი სპიტ?!.

ამ ლაპარაკში გამოეღვიძა ლავრენტის, შეკრთა კომანდირის დანახვაზე, თოფი მოიმარჯვა, მაგრამ შეჩერდა, მის წინა იდგა უფროსი. ენა ჩაუვარდა.

...ყველა სიხარულით ეგებებოდა ქრისტეს აღდგომას... მოუთმენელად ელოდდა დედ-მამა შვილს, მაშო თავისს სატრფოს, საყვარელს. ისკენ მიემგზავრებოდა.. დისციპლინარულ ბატალიონს. ხოლო ლავრენტი კი ექვსი «კანვოით» თავჩაქინდრული,

დ, ელპიტიშვილი.

სააღდგომო «ვიზიტები»

(ნახევრად სიზმარი)

...ძალიან დაღონებული გახლდით «ვიზიტებზედ» სიარულის დროს. საახალწლოდ კიდევ არა უშავდა-რა, თავისუფალ ფლოტის რაში მყავდა... დიდ-შაბათ საღამოსაც ველოდებოდი ჩემს რაშს, მაგრამ ვეძინის ქუჩის დეპეშათა სააგენტომ ამბავი მომიტანა,—«შენი რაში ომში წავიდაო».

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა! რა მექნა? მოდი ახლა, და ამ ტალახში «ვიზიტებზედ» იარე! მერე ცოტა მანძილი მაინც მქონდეს გასავლელი? მთელი ღვთის-მშობლის წილხვედრი და წმ. ნინოს-მიერ განათლებული საქართველო უნდა მომევლო...

ამ დროს ერთი საუცხოვო აზრი მომივიდა თავში... ვთქვი, უარესიც შეიძლებოდა-მეთქი. შეიძლებოდა, მაგალითად, მე თვითონ ამომეყო თავი მანჯურიაში, ნებსით თუ უნებლიედ; შეიძლებოდა სრულიად გამოვსალმებოდი მზის სინათლეს დ̃ მამა-მთავრის აბრაამის წიაღსა შინა მემორანდუმი წამეღო; მაშინ ხომ ოხრად დამრჩებოდა რაშიცა და «ვიზიტებიც»... შეიძლებოდა... კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა...

გადავწყვიტე ურაშოდ, ფეხით მომევლო ჩვენი დალოცვილი დედა-ქალაქი... მეგაზეთემ გაზეთი მომიტანა. გადავშალე და წავიკითხე ასეთი განცხადება: „სააღდგომო «ვიზიტების» მაგიერ, ამა და ამ დაწესებულებას შეეწიენითო».

ცოტა არ იყოს, არ მეპიტნავა და ვთქვი: «ქაჩალმა წამალი იცოდეს, თავის თავს უშველის-მეთქი». არა, ერთი მიბრძანეთ, ხელის ჰუჭყი რომ მქონდეს, ვიზიტებისათვის რა თავს გავიცხელებდი. აღდგომა და ახალი წელიწადი იმიტომ უხარიან ჩემისთანა ბოგანოს, რომ ამ დღეს ყველგან კარი ღიაა, როგორც მტრისა, ისე მოყვრისაც. ეს, სხვათა შორის, საკუთარისა ეკონომიისათვისაც კარგია: სახლში იოლად გამოხვალ და ყველგან ცოტ-ცოტათი დანაყრდები.

ამგვარად, გადავსწყვიტე, «ვიზიტებზედ» სიარული, შევადგინე მოკლე მარშრუტი და გამოვედი გარედ. მოგეხსენებათ მარტის ამბავი: ცოტა არ იყოს, შერეკილი თვე გახლავთ—წვიმდა. ჩავდგი ფეხი კალოშებში და მოვკურცხლე. უნდა გამოგიტყდეთ და, ჩემი კალოშები რომ ნახოთ, შეგებრალებით: თითქო გამოსროლილი ყუმბარა მოჰხვედრიაო, ისეა ორივე გამობღვნილი. რომ ასწონოთ, 60,000 ტონნი ქვა-ნახშირი, ანუ უკედა ვსთქვათ, ტალახი იქნება შიგ, რაიცა თამამად ეყოფა ტფილისის ქუჩების სატბაო «ფლოტს» 6 თვის განმავლობაში.

...ჩემი პატრიოტული სიყვარული განზედ გადავედე და პირველად ტფილისის-მამათა სამზრუნველო ვინახულე; მითხრეს, რაღაც კომისიების სხდომებიაო. კომისია წარმოდგენილი მქონდა მთელის ქვეყნის სვე-ბედის გადამწყვეტად და ძლიერ მეინტერესებოდა მისი ნახვა. შევაღე საბჭოს დარბაზის კარები და შევედი ჩემის ტალახიანის კალოშებით. მეკარემ ცხვირი მაღლა აიწია, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია.

კომისიას ბჭობა ჰქონდა,—ნება მივსცეთ გაზეთებში მჯღაბნელთ ჩვენს სხდო

მეზზედ დასწრებისა, თუ არაო. კომისიის ერთმა წევრმა „რეჩი“ წარმოსთქვა,—წინადადებას ვაძლევ კომისიას, აირჩიოს, «პოდ-კომისია», პოდკომისიამ—სუბ-კომისია და ამ კომისიებმა გადასწყვიტონ ეს საქმეო.

მე კომისია რაღაც უშველებელი, ყოვლის შემძლე მეგონა. ვიფიქრე: ამდენს კომისიას მთელი ტფილისიც რომ მოაბან, ვინ იცის, მცხეთამდეც აგორონ-მეთქი. გავკადნიერდი და ვკითხე: «ახპერ, კომისიე ინჩე, კამბეჩია თუ ხარი-მეთქი». ამაზედ ერთი სიცილი დამაყარეს და მას აქეთ საკომისიო საქმისა არაფერი მჯერა.

დაუყოვნებლივ დავტოვე ტფილისის მამათა დარბაზი და შემოვუარე «კახეთის მევენახეთა საზოგადოებას», მაგრამ იქ «მევენახენი—მე ვერ ვნახენი‘‘; თურმე თელავში იყვნენ თავმოყრილნი და იქ წასვლა კი ურაშოდ არ შეიძლებოდა.

გზად გამოვუარე სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებას და... ღმერთო ჩემო! რაები ვნახე!!! გამოთქმაც-კი მეძნელება... წარმოიდგინეთ, ერთი კაცი, რომელსაც ბანკის საზოგადო ფლავისათვის ყელი მოუღერებია ძალიან დახელოვნებული ყოფილა მუშტი-კრივში! სად არის, რომ ჩვენში ესპანია არ არის, თორემ საუცხოვო ტორეადორ-პიკადორი იქნებოდა. ისე სცემდა თურმე ერთს მსესხებელს, რომ, რომ.. დავჩუმდე, თორემ მე რომ ამ პიკადორის ამბავი ვიცი, კარგ დღეს არ დამაყრის..

ვერ ვინახულე «ცნობის ფურცლის» სამთავრო, რადგანაც დიდი ხანია, იქიდგან ფეხი ამოკვეთილი მაქვს; ამასთანავე, ჰუჰყიანად ვიყავ ჩაცმული და ჩემის კალოშის ამბავი ხომ უკვე იცით!.. რაში რომ მყოლოდა, მაშინ აღარ შემეშინდება,—სწრაფად გამოვსცილდებოდი, თუ რამ მოხდებოდა..

გამოვბრუნდი იქიდგან და მივულოცე ჩვენს მესვეურს,—«ივერიის» რედაქტორს. აქ ერთი უცხო ამბავი დამხვდა. თუ პატივცემული რედაქტორი ნებას დამრთავს, გადმოგცემთ მოკლედ ამ ამბავს: თურმე ამერიკაში ვიღაც ილია ზოტიკოვი ყოფილა და, ამბობენ, ქართველი ზოტიკაშვილი უნდა იყოსო. თუ მართლა ქართველია, ძლიერ კარგი უქნია, რომ განშორებია აქაურობას და ცხრა მთას იქით გადაკარგულა, მოშორებია ჩვენს ქვეყანას და ჩვენებურს საზოგადო სიდუხჭირეს ვეღარა ჰხედავს... ბარემ მეც დიდის სიამოვნებით წავიდოდი იმ ქვეყანაში, სადაც თავისუფლად შეიძლება ამოსუნთქვა, მაგრამ, ვაი, რომ ჩემი რაში გამექცა... მაინც არა უშავს-რა, ამ დარდსაც გავუძლებ... ბევრს ცოლები გაექცა და გაუძლეს მისს დარდს, და ნუთუ მე რაშის გაქცევის დარდს ვერ უნდა გავუძლო?!...

რადგანაც ამინდი ცუდი იყო და ჩემს კალოშსაც სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული, (ტალახი «უდაკლადოდ» შედიოდა შიგ), ბევრხანს აღარ მიხეტიალნია და, უნაყროდ წასული, ისევ მშიერი დავბრუნდი შინ. საოპერაციო ბაზისად ჩემს „ვიზიტებს“ კუჰის სამთავროს დაკმაყოფილება ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი შედეგი მოჰყვა.

დიდი იმედი მქონდა ზედ-შესრულ ნატალია პეტროვნასი და ქვემდებარე პიოტრ ივანიჩისა, მაგრამ უბრალო ზრდილობისთვისაც-კი არ მიმიპატიჟეს..

შინ მოსვლისას დავწექი და დავიძინე. ღმერთო, რა სიზმარი ვნახე!.. მესიზმრა, თუ რა თავაზიანად მეპყრობოდა ჩვენი პატივცემული რედაქტორი. ვითომ მან ყველა ჩემს ნაჯღაბნ სტრიქონებში თითო შაური დამითვალა გონორარად! მესიზმრა, ვითომ ერთს «პუბლიცისტს», რომელიც მუნჯურ მეთოდს გუნდრუკს უკმევს, ფეხი ტფილისში ჰქონდა, ერთ-ერთ ჟურნალის სათავეში, ხოლო თავი—ფოთში; ვითომ ქუთაისის საბჭოში ასეთი ხერხი გამოენახათ: ხმოსნები რომ არ გაიპარნენ საბჭოს კრებიდან, «სტოროჟები» ფეხსაცმელებსა და ქუდებს ჰხდიდნენ და უამისოდ-ხმოსნები კრების გათავებამდე ძალა-უნებურად იცდიდნენ; ვითომ ქართულ თეატრის «დიდი» და «პატარა» არტისტები ისე არეულ-დარეულიყვნენ, რომ ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა; ვითომ მეორედ მოსვლა მობრუნებულიყო ქვეყანაზედ, რაც ავი სული იყო, სულ წალეკა და, იმათ შორის, მეც ვიღუპებოდი... უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი თავი ავი სული არ მეგონა; ყოვლად უზადო და უნაკლულო ვიყავ, ჩემის ფიქრით, მაგრამ მეორედ მოსვლამ მეც ავ სულებში გამრია.. აქ-კი ძალიან შემეშინდა... კიდევ მადლობა ღმერთს, რომ გამომეღვიძა და ჩემი თავი ისევ ჩემს სარეცელზედ ვიხილე, თორემ სწორედ გავგიჟდებოდი, მაგრამ ახლა მაინც ძნელი გამოსაცნობია, ვინ ჰკვიანია და ვინ გიჟი...

საზოგადოდ, ჩემი დღევანდელი ,,ვიზიტები‘‘ მეტად უფერული იყო.

დიმ. ჯაში.

გასართობი

წაკითხული და გაგონილი.

კვირა დღეა. ივან ვასილიჩი, კოლეჟსკი რეგისტრატორად უკვე წარდგენილი, შინიდგან ზლაზვნით გამოვიდა და არ-კი იცოდა საით წასულიყო. უკაცრავად,—იცოდა-კი, ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ ჯიბეში შაურის მეტი არ უჭყაოდა. კარგა ხანს იყოყმანა, ხან წინ წასდგა ფეხი, ხან უკან და ბოლოს ერთ მხარეს წაფრატუნდა. გზაზე რაღაც აზრმა გაუელვა თავში და ცოტა წელში გასწორდა, დაეტყო, რომ რაღაც გადასწყვიტა.

— წავალ, უსათუოდ წავალ!.. აბა აქ რა ცხოვრებაა, ორიოდ გროშის გულისთვის დღე და ღამე მოკუზული უნდა იყო კანცელარიაში, რაღაც ქაღალდები სწერო და კვირა დღეც კი ადამიანურად ვერ გაატარო... არა, უნდა წავიდე.

თავი რომ ამ ფიქრებში იყო გართული, ფეხებმა რესტორანში შეახეტეს. აქ ჩვეულებრივი კამპანია დახვდა. რამდენიმე ყლუპი კიდეც გაესტუმრებინათ საქიოსკენ და მხიარულად იყვნენ.

— ააა, ივან ვასილიჩ, ივან ვასილიჩ!.. რად დაიგვიანე!

— სათქვენოდ აღარა მცალიან, მშვიდობით!..

— რა ამბავია?

— ომში მივდივარ.

— როგორ, შენ, ივან ვასილიჩ?!

— დიაღ, მე.

— როდის?

— ხვალ.

— მართლა, მაშ გაღდეგრძელოს, ივან ვასილიჩ! გაგიმარჯოს, მტერი დაგიმარცხდეს, მიირთვი, ივან ვასილიჩ!.. რუმკა!..

— გმადლობთ!

— აბა, ბატონებო, კიდევ დავლოცოთ ივან ვასილიჩი!

— დავლოცოთ, დავლოცოთ!..

ცოტა მოშორებით ვაჟარი იჯდა თავდახრილი და ბაბორში ჩამალული. წინ არაყი ედგა. ნახევარ ბოთლი კიდეც გადაებრძანებინა. ყიჟინი რომ მოესმა, მიიხედა და მხიარულ კომპანიას დააცქერდა. მხიარულობის მიზეზი რომ გაიგო, თვალები გაუბრწყინდა, ადგა და რუმკით ხელში კომპანიას მიუახლოვდა.

— ნება მიბოძეთ, ბატონებო, მეც დავლიო გმირის სადღეგრძელო, ღმერთმა გამარჯვება მოგცეს!

— ბრავო, ბრავო!

— მე გახლავართ ვასილ ივანიჩი.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი!

— ნება მიბოძეთ, ბატონებო, კიდევ დავლოცოთ ჩვენი ძვირფასი ივან ვასილიჩი, ესე იწოდებით, ბატონო!

— დიაღ, დიაღ, გმადლობთ.

— ღმერთმა შეგამუსვრინოს მტერი და გენერლად დაგაბრუნოს.

— ღმერთმა ჰქმნას, ღმერთმა!..

შეჰყვა სადღეგრძელოები, ყველანი გამოილეშნენ. მიზეზი ამ დღესასწაულისა—ივან ვასილიჩი—ძლივს ჩაისვა ეტლში ვასილ ივანიჩმა, რომ შინამდე მიეყვანა.

დილით ივან ვასილიჩს კარი დაუკაკუნეს. მართალია, აღარ ეძინა, მაგრამ თავი უბრუოდა და გამოშტერებული იყო. კარი გაიღო თუ არა, შემოვარდა ვიღაც უცნობი, დაჰყარა რაღაც ქაღალდში გახვეული ნივთები და ივან ვასილიჩს გადაეხვია:

— გაუმარჯოს ჩვენს გმირს! ისე მოვეჩქარებოდი, ისე მოვეჩქარებოდი, რომ ბევრი რამ დამავიწყდა,—მეშინოდა,—არ დამგვიანებოდა.

ივან ვასალიჩი გაშტერდა.

— რას მიყურებ ეგრე გაოცებული? იქნება ვეღარ მიცანი? მე ვასილ ივანიჩი გახლავარ. აბა მზადა ბრძანდებით, ბარგი ჩაილაგეთ.

— რა ბარგი?

— როგორ თუ რა ბარგი, უბარგოთ ხომ არ წახვალთ ომში. აი, მეც ზოგი რამ მოგართვით, გზაში გამოგადგებათ.

— გზაში?.. ომში!?..

— ბატონო, რას მიმალავთ, მე ხომ ჯაშუში არა ვარ! გუშინ არ იყო, რომ გეთხოვებოდით?

ივან ვასილიჩს რაღაც მოაგონდა და ენაზე იკბინა.

— ჰო, ეხლა-კი გიცანით. დიაღ, მივდივარ, მაგრამ დღეს ვერ ვახერხებ და უგემურადაცა ვარ.

— აი გიშველა ღმერთმა, ეგ კარგა გინებებიათ, რომ დღესა რჩებით. მაშ დღეს ვეღარსად წამიხვალთ, მე გამოგაყენებთ. წავიდეთ, ეტლი გვიცდის!

— სად?

— ჰა, ჰა, ჰა! სად?—„რესტორანში“.

— თქვენი ნებაა.

ივან ვასილიჩსა და ვასილ ივანიჩს ძალიან მოეწონათ «რესტორანში» სიარული და ყოველ დღე ერთმანერთს ემშვიდობებოდნენ. ერთის კვირის შემდეგ ივან ვასილიჩი ომში კი ვეღარ წავიდა და სამსახურიდგან-კი გამოაბრძანეს.

⁂

— მიშველეთ, თქვენი ჭირიმე, მიშველეთ რამე, დავიღუპეთ, ცეცხლი გვეკიდება.

— რა ამბავია, ავდოტია პანკრატოვნა, რა მოგივიდათ?

— ჩემი ქმარი ღოთობს ანნა კონდრატიევნა, მიშველე!..

— ახალი ამბავი მითხარი, როდის არა სვამდა? არ იცი შენი ქმრის ამბავი: ერთ-ორ კვირას ილოთებს, მანამ ჟინი გაუვლის, და მერე ჰკუაზე მოვა.

— არა, შენ გენაცვალე, არა, ასე თავის დღეში არა ყოფილა. მართალია ყუსვამს, ულოთნია, თეთრი სპილოები, მწვანე გველვეშაპები და წყეულიც მოსჩვენებია, მაგრამ ეხლა სულ სხვა რაღაც დაემართა.

— რა, როგორ?

— ეხლა სულ ომი ეჩვენება. შინ, გარედ, თავლა-ოთახში, სკამ ქვეშ, ბუხარში და საწოლზე სულ მტერსა ჰხედავს და საშინლადა ბრაზობს. დასდევს, უნდა დაიჭიროს, ემუქრება, კისერს მოგიგრეხო, ყვირის, ღრიალებს და ყველაფერსა ლეწს, რაც-კი ხელთ მოხვდება, შენი მტერი, ახლა ეგ რომ დასჩემდეს. ვიდრე ომი გათავდება, რაღა მეშველებაეგრე აჟინებით სმა მგონი მოსკოვის ვაჭარსაც არ შეუძლიან...

⁂

— ოჰ, რა გაბრაზებული ვარ ივან ივანიჩზე, ოჰ, რა რიგად მინდა გავეყაროს ის საძაგელი, ფლიდი, უნამუსო.

— რა ამბავია?

— რაღა რა ამბავია, ქალო, მარწმუნებდა, მეფიცებოდა, ომში მივდივარო, მე მეგონა მართლა წავა და გმირულად მოკვდება...

— მერე?

— მერე და... გამოვემშვიდობე...

—ააა!..

— თურმე სტყუოდა, არც ომში აპირობს წასვლას და არც ჯანაბას, ისევ თავის დეპარტამენტში რჩება... ნეტა მომწონდეს მაინც! რამდენი ხანია დამდევს და ვერას გახდა. ეხლა კი ვენდე, და აკი მაცდინა.

— მე რომ შენი ვიყო, იმის უფროსთან წავიდ და იმას სისაძაგლეს ვუამბობ. უეჭველია, სამსახურიდამ გამოაბრძანებენ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! ის ფლიდი, ისა!.

⁂

— ექიმო, ღვთის გულისათვის, სწორედ მითხარ, რა დამართია ჩემს შვილს?

— არაფერი, დაწყნარდი, ინგლისური ავადმყოფობაა.

— ვაი, ჩემს თავს, ეგ რა მომსვლია! ვაი, ჩემს დაბნელებას.

— რა დაგემართა, ქალო, აქ საშიში არა არის-რა.

— როგორ თუ არა არის-რა? მაგაზე უარესი რაღა უნდა იყოს? ინგლისური ავადმყოფობა... ინგლისური...

— მოითმინეთ, თქვენ სახელი ხომ არ გაშინებთ?

— მაშინებს კი არა, მაძრწუნებს, შეურაცხმყოფს, ინგლისური!..

— მართლა, ინგლისიდგან მოტანილი ხომ არა გგონიათ, ხალხი ეგრე უძახის, რადგან მედიცინური სახელი «რახიტიზმი» ძნელი დასახსომებელია.

— ოჰ, ექიმო, მაშ რაღად მიხეთქავდი გულს, ეგრე გეთქვა! ეგ სულ სხვა არის. «რახატიზმი»... მადლობა ღმერთს, საშიში არ ყოფილა!..

სუფრა აიშალა, დიდი აურ ზაურია. ზოგი ყვირის, ზოგი მღერის, ზოგი ცხარობს, ზოგი ხითხითებს.

სასტუმროში მასპინძელი აშოშმინებს პროხორ ივანიჩს:

— კარგი, რასა სტირი ბავშვივით, დამშვიდდი.

— არა, მე მაგას ვერ ავიტან, მე მაგას თავს გავუჩეხ, მე მაგას ხმალში გამოვიწვევ...

— კატო გეხუმრებოდა, ხუმრობა ვერ აგიტანია?

— რა ხუმრობაა? ეგ ხუმრობაა? განა ცოტა ვუთმინე? დედ-მამა გადმომიბრუნა, ცოლ-შვილი მიხსენა, ყველაფერი მოვუთმინე, მაგრამ მაგისთანა შეურაცხყოფას-კი ვერ ავიტან.

— ბოდიშს იხდის, ნანობს, პირობას მოგცემს, რომ შემდეგში აღარ გაბედოს.

— ბოდიში? თავს ლაფი დამასხას, მიწასთან გამასწოროს და მერე ბოდიში მოიხადოს. მე ვაჩვენებ, როგორც უნდა ბოდიშის მოხდა.

— კარგი, მე მაპატიე, ჩემს ოჯახს ეცი პატივი.

— თქვენი პატივისცემა რომ არა მქონდეს, არ მოვიდოდი, მაგრამ ეს მეტისმეტია, მაშ მე სამშობლოს მტერი ვყოფილვარ! მე ჯაშუში ვყოფილვარ; ჩემზე საძაგელი კაცი არა ყოფილა ქვეყანაზე.

— ეგ როდის გითხრა, განა მაგის თქმას გაბედავს?

— მტერი ხარო!.. ესე არ მითხრა? მე მტერი—ვარ!

მასპინძლის დასახმარებლად ერთი სტუმართაგანი გამოვიდა სავსე ჭიქით ხელში და მტირალთან მივიდა.

— პროხორ ივანიჩ! ხომ იცი, დღეს რაც დღეა, მტერსაც უნდა შეცოდება აპატიო, გამოართვი ეს ჭიქა და წამოდი შეგარიგოთ, თუ გინდა სცემე კიდეც, ხმას არ ამოიღებს. ჰა, დაიჭი.

— ეგ კი, მაგრამ შემარცხვინა!..

— ჰო, ვიცით, ვიცით!.. წამო, აგერ ისიც შენსკენ მოდის ჭიქით, დააჯახეთ და გადაეხვიეთ ერთმანერთს.

— მაპატიე პროხორ ივანიჩ!..

პროხორ ივანიჩმა ნაბიჯი გადადგა:

— გახსოვდეს, ივან პროხორიჩ, გახსოვდეს! ვინ შერცხვენილი გაპატიებდა, დღეს აღდგომა რომ არ იყოს. ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტად!

ორი ჭიქა ერთმანეთს დაეჯახა და სწრაფად დაიცალა. პროხორ ივანიჩი და ივან პროხორიჩი ერთმანეთს გადაეხვივნენ და მეგობრული ტირილი მორთეს.

დროებითი რედაქტორი შრ. ყიფშიძე.
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.
(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს ს. 72 8 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერივანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2 ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!
ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლის საპონი
პროვიზორის
გ. ფ. იურგენსის.
აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.
ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.
ფასი [illegible] ½ ნაჭერი 30 კაპ.
ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.
უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, მოსკოვში. (24—13)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»
გულივერის მოგზაურობა
სვიფტისა, მრავალის სურათით. 16° გვ. ფასი 30 კაპ.


Духи, мыло и цвѣточный одеколонъ
Т-ва А. Ралле и К°
Парфюмерія
„Шампака“

Сливочное мыло
НѢГА
товарищества
А. Ралле и К°
Москва.

როიალები პიანინო
ფის-გარმონები, სკრიპკები, კიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.
ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.
პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.
ბ. მ. მირიმანიანისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНIАНЪ
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—19)

Дозволено цензурою Тифлисъ 27 марть 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи.